

სპორტი როგორც საჯარო მმართველობის ნაწილი

თენგიზ იმნაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის სკოლაში საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : კახაბერ ურიადმყოფელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თენგიზ იმნაიშვილი

30/06/2020

აბსტრაქტი

სპორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ის შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მმართველობის ერთ-ერთი დარგი და განუყოფელი ნაწილი.

ნაშრომი ეხება სპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს, სპორტის კავშირებს მმართველობის სხვა დარგებთან, სპორტის სფეროში პოლიტიკის დამდგენ და მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების კომპეტენციებს. ამ მხრივ დეტალურადაა განხილული საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების როლი სპორტის სფეროში მმართველობის კუთხით.